ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01231723106**
თარიღი: **21/06/2023**

ადრესატი: შპს ფლიტ პრო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 206322807
მისამართი: -

ზოგადი ინფორმაცია	
განცხადების ნომერი:	N 10/01231721869-18
განცხადების თარიღი:	21 ივნისი, 2023
განმცხადებელი:	შპს „ფლიტ პრო“
მისამართი	ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.
საკადასტრო კოდი	01.72.14.013.852
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე	შპს „ფლიტ პრო“
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემა
მწვანე ნარგავ(ებ)ის სახეობა, რაოდენობა	6 ძირი ფიჭვი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება	ბრძანება №5818205 თარიღი: 25 თებერვალი, 2022
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ფოტოსურათები საკომპენსაციოდ დასარგავი ნერგების ნასყიდობის ხელშეკრულება
დასკვნა:	
თანხმობა	

საკითხის აღწერა

მწვანე ნარგავების მოჭრის საბოლოო ნებართვა

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის,

ძოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“(შემდგომში ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, N11-58 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-10, 20-ე, 22-ე, 23-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე პუნქტები, 33-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე, მე-40, 41-ე პუნქტები, N11-58 დადგენილების 25-ე, 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 34-ე, 38-ე, 39-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებულ, ზეხმელ, ხმობად, დაავადებულ, წვერხმელ, ფაუტ, გადაბერებულ, ავარიულ მწვანე ნარგავებზე. ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 6 ძირი მწვანე ნარგავი ზეხმელია, ხმობადია და მათი მოჭრით არ დაირღვევა მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა. შესაბამისად, **სამსახური გასცემს 6 ძირი ელდარის ფიჭვის (#1-57,3სმ; #2-52,5სმ; #3-59,6სმ; #4-58,6სმ; #5-66,6სმ; #6-75,8სმ) მოჭრის ნებართვას.**

ინფორმაციული

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე), წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების ჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

გევალებათ, ზეხმელი/ ხმობადი მოსაჭრელი ხეების სანაცვლოდ, ნებართვის მიღებიდან მცენარეთა განვითარების პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში თქვენსავე ტერიტორიაზე აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით საკომპენსაციო რგვა და დარგული მწვანე ნარგავების შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობა.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავის საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ დარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, საკომპენსაციო რგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი